# იმერეთი

ყოველდღიური გაზეთი.


ფასი:

წლიურათ . . . . . . . 7 მანეთი
ნახევარი წლით . . . . . 4 მანეთი
თვიურათ . . . . . . . 3 აბაზი

ცალკე ნუმრის ერთი შაური.

წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მანეთი დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 14 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

№ 126

წელიწადი მეორე

1913

კვირა, 18 აგვისტო.

მისამართი: Кутаисъ, редакція газ. „ИМЕРЕТИ".

ტელეფონი № 149.



ეროვნული ბიბლიოთეკა



ელექტრო-თეატრი

„რადიუმი"

სეთშაბათიდან 15 აგვისტო-დან

ახალი პროგრამით

---

პატე ჟურნალი

სისხლის ხარჩევნია

შემაძრწუნებელი დრამა შვიდ ნაწილათ 2000 მეტრ. სუსტსა და ნევრნიანებს ვსთხოვთ არ დაესწრონ. დირექცია სთხოვს საზოგა. ბავშები არ დაასწრონ ამ სეანსებს.

---

პაკსონი უმაღლეს საზოგადოებაში

უდიდესი კომედია პაკსონის მონაწილეობით.

ფასები ჩვეულებრივია.

დაწვრილებით პროგრამაში.

---

ანონსი.

ამ მოკლე ხანში ვაჩვენებთ ორ

საოცარ სურათს

სათაურს გამოვაცხადებთ დადგმის დღეს.

---

აგვისტოს ბოლომდი გაგრძელდება

ხელის მოწერა

„შოთა რუსთაველი და მისი პოემა"

წიგნი იქნება ჩვეულებრივი ფორმატის დაახლოებით 100 გვერდამდი, შოთა რუსთველის სურათით და სხვ., ეღირება ხელის მომწერთათვის მხოლოდ ერთი აბაზი, გასაყიდათ კი მეტი ფასი ექნება.

ამ წიგნის წმინდა შემოსავალი გადაიდება შოთა რუსთველის ფონდის გასამდიდრებლათ.

ვინც აგენტობას ისურვებს ვთხოვთ გვაცნობოს. ადრესი: ბაღის ქუჩა ს. გერსამია.

გამომცემელი სერგო გერსამია.

---

ახალი წიგნის მაღაზია

კ. ი. ოცხელისა

ქუთაისში ალექსანდრეს ქუჩაზე ზ. კოკოჩაშვილის სახლში გაიხსნა

უდიდესი

წიგნის მაღაზია

კონსტანტინე ივანეს ძის ოცხელისა.

ახალ მაღაზიას შეძენილი აქვს მეტათ მრავალი სახელმძღვანელო და საკითხავი წიგნი.

ახალ მაღაზიას სურს შეამსუბუქოს გაუწიოს პროვინციის წიგნის მაღაზიებს, სასწავლებლებსა და წიგნსაცავებს, რომელთაც დაეთმობათ წიგნები, რაც შეიძლება, ფას-დაკლებით. ამაზე ყველა დარწმუნდება მაღაზიის პირდაპირი გაცნობით.

ახალი მაღაზია გახსნილია იქ, სადაც აქამდი მთავრიშვილის ყოფილი ამხანაგობის წიგნის მაღაზია არსებობდა; მის გვერდით გამართულია დ. ი. ოცხელის სპეციალური საკანცელარიო მაღაზია, სადაც მოიპოვება ყოველნაირი სასწავლო ნივთი ძლიერ იაფათ.

---

აქიმი ვალერიან ლორთქიფანიძე

ლებულობს შინაგან, ბავშვებისა და ნერვების ავათმყოფებს.

იქვე დიაგნოსტური კაბინეტი.

გამოკვლევა შარდისა (ვენერიული, ბუშტის, თირკმლების, შაქრის, ქარებისა და თირკმლების, ქვისა და ხრეშის ავათმყოფობის გამოცნობა).
ნახველისა (ჭლექი, ფილტვების ანთება, ინფლუენცა, აქტინომიკოზი და სხვ..)
სისხლისა (მალარია, ტიფი და სხვადასხვა გვარი უსისხლობა).
კუჭის სითხისა (კუჭის კატარი, მისი მუწუკი, კიბო და სხვა).
ესკრემენტებისა (ნაწლევების პარაზიტებზე და მის კვერცხებზედ).
ჩირქისა (ჭლექი, დიფტერიტი და სხვა).
ქალის რძისა.

ადრესი: პუშკინის ქუჩა, ვიტუშინსკის სახლი, აფთიაქის ზევით.

---

ეგზამენები

ქუთაისის უმაღლეს პირველ დაწყებით

სასწავლებელში

„Высшее Начальное Училище"—დაიწყება 22 აგვისტოდან, დილის 8 ს. თხოვნები ყოველ დღე სასწავლებელშივე მიიღება. თავისუფალი ადგილი ყოველ კლასშია.

---

ქრა-კერვის

სპეციალური სახელოსნო

ვღებულობ ქალთა ყოველგვარ ტანსაცმელს შესაკერათ, ხელმისაწდომ ფასათ. შეკვეთილს ვასრულებთ თავის დროზე და პირნათლად.

მისამართი: თფილისის ქ. ქალაქის აფთიაქის პირდაპირ, ჯაშიკოვის სახლი.

პატივისცემით საშა ჭუონიასი.

---

თ. ა. მთავრიშვილის

წიგნის მაღაზია

აუწყებს მასწავლებლებს, მოსწავლეებს და პროვინციის წიგნის მაღაზიებს, რომ ამა 1913—14 სასწავლო წლისათვის დამზადებული აქვს

დიდძალი სახელმძღვანელო და სხვა

წიგნები,

რომელიც იხმარება ქალაქ ქუთაისისა და ქუთაისის გუბერნიის დაბალსა და საშვალო სასწავლებლებში.

ფასები საკმაოდ დაკლებულია.

მსურველთ შეუძლიათ წიგნებთან ერთად მოითხოვონ ჩვენგან სხვა სასწავლო ნივთებიც: რვეულები, კალმები, კალმის ტარები, კარანდაშები, საანგარიშო დავთრები და სხ., რასაც ძალიან დაკლებულ ფასათ დაუყონებლივ მივაწვდით გოკიელის საკანცელარიო მაღაზიიდან.

მისამართი: ქუთაისი, ალექსანდრეს ქუჩა, ბოკერიას სახლი, ბულვართან.

---

თფილისის

კომერციული ბანკი

აუწყებს პატივცემულ საზოგადოებას, რომ მან გახსნა ფილიალური განყოფილება ქ. ქუთაისში ალექსანდრეს ქუჩ. ზაქ. კოკოჩაშვილის სახლში, სადაც ახდენს ყოველგვარ საბანკო ოპერაციებს.

ქუთაისის განყოფილება თფილისის კომერციული ბანკის.

---

ხაშურის (მიხაილოვო) 6-კლასიანი

ვაჟთა პროგიმნაზია

(უფლებიანი მოსწავლეთათვის)

აცხადებს, რომ შეგირდების გამოცდა და მიღება დანიშნულია 20 აგვისტოდან—1 სეკტემბრამდი.

---

განცხადება.

ქალთა ორ კლასიან სასწავლებელში პროფესიონალური განყოფილებით 1 სეკტემბრიდან

იხსნება მესამე კლასი:

მოწაფეების მიღება დაიწყება 20 აგვისტოდან. სასწავლებელი იმყოფება უწინდელ ბინაზე: თფილისის ქუჩა, ნიჟარაძის სახლი, № 46.

სასწავლებლის გამგე: ნ. ლ. მიქელაძის ასული დადიანისა.

---

ქუთაისის ქალთა

შვიდ-კლასიანი

კერძო სასწავლებელი

მ. ი. ყაუხჩიშვილისა

ამით აცხადებს, რომ მისაღები და გამოსაცდელი ეგზამენები დაიწყება 22 ამა აგვისტოდან და გაგძელდება თვის ბოლომდი.

---

ქირავდება

ერთი ოთახი მეორე სართულზე ბალახვანის ქ. სახლი პ ბოჭორიშვილის მსურველს შეუძლია მიმართოს იქვე ეზოში.

---

იყიდება

ქუთაისში „პოდგორნი" ქუჩაზე რიონის პირისკენ ორსართულიანი ქვიტკირის სახლი სარდაფით.

მისამართი: „პოდგორნი" ქუჩაზე ზაინკალი (слесарь) ერმილე ქორიძე.

---

შინაგან სნეულებათა აქიმი

ნიკ. ივ. შენგელია. მიღება: დილით 9—11 ს., საღ. 5—7. გენერლის (გოგებაშვილის) ქუჩა, საკ. სახლი.

---

აქიმი ვ. ა. ნემსაძე ღებულობს შინაგან სნეულებიან ავათმყოფებს ნაშვადღევის 3—6 საათ. თფილისის ქუჩა, ფირალოვის სახლი.

---

აქიმი კ. თ. ტყეშელაშვილი.

ათი აპრილიდან ღებულობს ავათმყოფებს (შინაგანი ვენერიული კანის) ახალ ბინაზე: ვიტუშინსკის სახლი, აფთიაქის უკან. პუშკინის ქუჩიდან ტელეგრაფის შესახვევში.

---

აქიმი ი. ჩარექოვი

იღებს კანისა და ვენერიულ ავათმყოფებს ახალ ბინაზე. მხოლოდ დილით 12—2 ს., საღ. 6—8 ს. სხვა დროს აქიმი საავათმყოფოშია.

მისამართი: გაგარინის ქუჩა, პოლიციის გვერდით, ფირალოვის სახლში.


## ბედნიერი კაცი.

ბ. ნარიძე ოღონდაც რომ ბედნიერი კაცია! მას ხომ ძლიერ უყვარს სხვების ბედნიერებაზე ლაპარაკი! ნამეტნავათ ფედერალისტების „ბედნიერება" ეჩხირება თვალში! მაგრამ არც თვითონ ყოფილა ნაკლებათ ბედნიერი!—ყოველ მის გამოსვლას დღევანდელი „განთიადი" და ისი წინაპარი „თან. ქვ." დიდის ზარით და ზეიმით აუწყებენ კვეყანას: „ხვალ ჩვენს გაზეთში ნარიძის ფელეტონი დაიბეჭდებაო".

მერე რაო?—იკითხავთ—რა ვუყოთ, რომ დაიბეჭდება? განა ეს დაბეჭდვა ახალი ამერიკის აღმოჩენას ნიშნავს, ან ახალი მესიის დაბადებას?—რასაკვირველია, არც ერთსა და არც მეორეს!

ეს „გამოსვლა" დასელების დემაგოგთ-უხუცესის ჩვეულებრივი გამოსვლის კალაპოტს არ გადასცილებია და ვერც გადასცილდება!.. მაგრამ, როგორც ერთ-ერთ წერილში გაკვრით გვქონდა აღნიშნული, აქაც აშკარათ გამოსჭივის დასელების ერთი ნიშნობლივი თვისება—უსაზღვრო ტრაბახობა, „თავისიანის" ქებადიდება და ვიღაცის ავტორიტეტის ბრმათ გაკერპება!..

ყოყლოჩინური ტრაბახობა ჩვენებური დასელებისა ძველი ამბავია და საქმოთაც ცნობილი.

აიღეთ, თუ გნებავთ, დასელი აქიმი: მისი დიაგნოზი და წამალი—უკანასკნელი სიტყვაა მეცნიერებაში! დასელი ადვოკატი?—იურისპრუდენ კიას ჯერ არაფე-

რი შეუქმნია ისეთი, რომ ის ყველაფერში გამოწრთობილი არ იყოს! დასელი მასწავლებელი ხომ რაღა!—ის განხორციელებაა ყოვლად უმწიკვლო პედაგოგისა! სოციალოგი, ეკონომისტი, ბუნების მეტყველი და სხვ. ერთი სიტყვით, ბუნებას მარტოდენ ესენი დაუჯილდოვებია იშვიათი ნიჭით, ცოდნით, ადამიანობით, მიმართულებათ და სხვა მრავალი ღირსებით!

განუწყვეტელ ტრაბახს და ,,თავისიანების'' სისტემატიურათ ქება-დიდებას თავისებური გავლენა აქვს გულუბრყვილო მაყურებელზე და ამ ნაცადი საშვალებით არა ერთი და ორი დასელი გასულა ფონს..

,,მამალი აქებს გუგულსა, გუგული აქებს მამალსო, და ამით ერთი მეორეს უხდიან სესხსა და ვალსო''.

ალბათ ჩვენებური დასელი ,,გუგულები'' და ,,მამლებიც'' პირნათლად ისტუმრებენ ერთი მეორის ,,სესხსა და ვალს''.

რასაკვირველია, სესხის პირნათლად გასტუმრება კარგი საქმეა, მაგრამ ისიც საკითხავია, თუ რა გაასესხეთ? როგორი საქონელი—ნამდვილი თვალი, თუ თალლითი?..

მაგრამ ტრაბახობა რის მაქნისია, თუ ყოველი თალლითი ბაჯაღლო ოქროთ არ გაასაღა და ყოველი უკუღმართად ნათქვამი აზრი—სრულ ჭეშმარიტებათ?!.

ასე ზერავენ ერთმანეთს ჩვენებური დასელები და რაღა გასაკვირველია, თუ ,,განთიადმაც'' ბ. ნარიძე გაზეროს?..

ამ დღეებში გერმანიაში გადაიცვალა საერთაშორისო სოციალიზმის ერთი საუკეთესო წარმომადგენელთაგანი და გერმანიის ს. დ. პარტიის ლიდერი ავგუსტ ბებელი,—ღრმათ მოხუცებული, წარჩინებული ორატორი და მუშათა ინტერესების მედგარი დამცველი. ყოველი მისი გამოსვლა რაიხსტაგში მთელს ევროპას ეფინებოდა და დეპეშები ქვეყანას აუწყებდნენ,—ბებელმა ესა და ეს სთქვაო. დიდი ნიჭის პატრონი იყო და გონივრული მოქმედებით მუშათა პარტიამრისხანე ძალათ აქცია. ასეთი კაცის სიკვდილი ოლონდაც რომ სამწუხაროა ყველა იმათთვის, ვისაც ჩაგრულთა ინტერესები ღრმათ წვდება გულში. გარდა წმინდა პროლეტარულისა ჩ მუშათა ინტერესებისა, ფრიად საგულისხმოა ბებელის აზრი მამულიშვილობასა და ეროვნებაზე (იხ. ,,ივერია'' № 108 1905 წ.)·

„თუ საჭიროებამ მოითხოვა, არც ერთს მტკაველს ჩემი სამშობლოს მიწისას სისხლის დაუღვრელათ არ დავანებებ მტერსო",—სთქვა ბებელმა.

ასეთი მებრძოლი დაკარგა კაცობრიობის დაჩაგრულმა ნაწილმა და ჩვენც მწარეთ ვგლოვთ ამ დასაკლისს. ჩვენმა გაზეთმა თავის დროზე შესაფერი პწკარები უძღვნა განსვენებულის ხსოვნას და კვლავაც მიუძღვნის, როცა საჭირო იქნება.

„განთიადის" მე-9 ნუმერში ბ. ნარიძე განსვენებულ ბებელს ახასიათებს და სხვათა შორის ამბობს:

„მას ხშირათ უარს უყვია თავისი შეხედულობა, როცა მისი უსაფუძვლობა დაუნახავსო".

კარგი და კეთილი! მისაბაძი მაგალითია და ყოველი ჭეშმარიტი მოღვაწისთვის სახელმძღვანელო! მაგრამ ბ. ნარიძემ და კომპ. რა ისწავლეს ბებელისაგან? რომელი კარგი მხარე შეითვისეს მისი და დარგეს საქართველოს ნიადაგზე? ხსენებული კარგი მხარე განსვენებულისა ჩვენს დასელებში ქცეულა ჯიუტობათ და „უცილობლობათ ჯორისა"!..

ვინ მოსთვლის, მაგ., რამდენჯერ დაუმტკიცეს ჩვენებურ დასელებს მათი ყალთაბანდობა და სრული კოტრობა ეროვნულ საკითხში?! მაგრამ უარყვეს მათ თავისი ცრუ შეხედულობა ამ საგანზე? თუ უარყვეს,—სრულათ თუ ნაწილათ? იქ მაგ., ბებელი სამშობლოს ტერიტორიის ერთ მტკაველსაც არ ანებებს მტერს, აქ კი მისი ცრუ მიმდევრები მთელ საქართველოს უთმობენ რუსეთიდან გადმოსახლებულებს! (1905 წლ. ერთ-ერთი კრების დადგენილება).

მოძღვრის კარგი მხარის მარტო აღნიშვნა არ კმარა: საჭიროა ამ მოძღვრების ჯეროვანის სიფრთხილითა და სიწმინდით დაცვა და ცხოვრებაში გატარება.

მაგრამ ჩვენებურ ნარიძეებს და კომპ. სიფრთხილე როდი სჭირიათ: ისინი იმითაც ბედნიერი არიან, რომ მათი ბაბბა ჩხრიალობს და უკრიტიკოთ მორწმუნენიც ბევრი ყავთ!..

ბ. ნარიძე ბედნიერია აგრეთვე თავისი ფრიად მდიდარი ფანტაზიით.—მან წარბ შეუხრელათ გააბა ოცნების დასი, საქართველოდან გადალახა მთელი რუსეთის სივრცე და გერმანიაში თვალი გაუსწორა ბებელს. აქ კი თითით ანიშნა „განთიადის" მკითხველებს და შესძახა: „აი, ვინა ვართ ჩვენო!"

დიახაც ბედნიერია ასეთი ფანტაზიის პატრონი! და უფრო ბედნიერია ის, ვისაც ამოდენა ტრაბახობა შეუძლია და გამგონეც ყავს!

„ბალღო, რათა სტირიო?—გამიდის და ვსტირიო!" ეგაა სწორეთ! თვარა იქ რომ ბებელი წარჩინებული და დიდებული მოღვაწე იყო, აქ ბ. ნარიძეს და კომპ. ვითომ რაო?!. მართალია, ბებელის ნალევწი და ნააზრევი გზას უნდა უნათებდეს ყოველს შეგნებულ დამცველს დაჩაგრულთა კლასისას; მისი ჭეშმარიტი მიმდევრობაც დიდი საქმეა! მაგრამ თუ როგორი მიმდევრები არიან ბ. ნარიძე და ძმანი მისნი ბებელისთანა მოღვაწეების, ეს მათ ცხადათ დაგვანახვეს თავის ხანგრძლივი მოქმედებით.

„ბურჟუაზიასა და მის ამყოლ-დამყოლთ არაფრათ ეპრიანებათ ბებლები და არც მათი პარტიები. ამ ბრძოლის ერთ ეტაპს ჩვენც განვიცდით დღესო", ბძანებს ნარიძე.

ვის რა ეპრიანება, ჩვენ ამას ანგარიშს არ ვუწევთ, მხოლოდ მოიღეთ, ბატონებო, მოწყალება, დაადექით ბებელის ტაკტიკას, თქვენ მიერვე აღნიშნულს და მოწონებულს, უარყავით ფანატიკოსობა და ჯიუტობა „ჩემი სჯობსო", და მერწმუნეთ, ძვირფას დროს უფრო ნაყოფიერ საქმეს მოვახმართ ჩვენცა და თქვენც, ვიდრე დღევანდელი ყოვლად უნაყოფო ბრძოლაა!

თვარა რასა გავს, ბ. ნარიძე, თქვენი უზომოთ გაღიზიანებული ფანტაზიის ნაყოფი, როდესაც თქვენ საქართველო ინგლისათ წარმოგიდგენიათ (თქვენს პირს შაქარი!), იქაურს შეგნებულ მოქალაქეთ—გუდაუთელი ხუთი წლის ბავში (იხ. „სახ. გაზ" № 964), რომელიც იძულებულია დაწერილი წაიკითხოს, ან სხვას წააკითხოს, აწონ-დაწონოს, კითხვები წამოაყენოს და მერე ხელი მოაწეროს" (პროტესტზე)!

როგორ ხსნით და რასა გავს ეს მოვლენა? აქ შეგნებაა, „აწონ-დაწონვა", „კითხვების წამოყენება", თუ თავბრუ დასხმული ადამიანის ბოროტი გაბრაზება? განა ეს პროფანაცია და მასხრათ აგდება არ არის ინგლისელთა შეგნებული პროტესტებისა?!.

ბედნიერია ბ. ნარიძე!

და ჩვენც ბედნიერი ვართ, თუ კი ინგლისელ მოქალაქეს გუდაუთელმა ბავშმაც კი გაუსწრო!.. „ჩვენისთანა ბედნიერი განა არის სადმე ერი?.-

ეკალი.

# დღიური.

ფრანგსა და გერმანელ ფინანსიურ წრეებს ბაღდადის (სპარსეთში) რკინის გზის შესახებ მოლაპარაკება აქვთ.

— ნანკინში მთავრობის ჯარსა და აჯანყებულებს შორის ბრძოლა გაჩაღდა.

— სუფრაჟისტ-ქალებმა ლონდონში დიდი შენობა დასწვეს.

— ცნობაა—სპარსეთში ბახტიარები ამხედრდენ და შურს იძიებენ ჟანდარმებზეო. ორი ათასი ბახტიარი თეირანზე იერიშის მისატანათ ემზადებაო.

— კირკილისსა და ფრაკიაში ოს[მა]ლები ძალმომრეობას სჩადიანო.

— რუსეთის უნივერსიტეტებში ათას ადგილზე 40 ათასი თხოვნაა [შეტა]ნილი.

— 12 აგვისტოს ბაქოში 4140 მუ[შამ] დაიწყო მუშაობა.

— მდინარე ლენაში 49 მუშა ხჩო.

# ახალი ამბავი.

✦ დეპუტატთა საკრებულოში რევიზია კიდევ გძელდება, რევიზიის დროს ამოჩენილა, რომ ორასი თუმნის თამასუქია დაკარგული, რომელიც ქართული გიმნაზიის შენობის ანგარიშს შეეხება.

✦ სალორიის ტყეში გორის პოლკის აფიცერს, როგორც აპერაციით გამოირკვა, უცაბედათ მოვლენია უბედურობა. გადასახსნელი თოფიდან პატრონის გამოღება განუზრახავს, ჩანს, ამ დროს გავარდნილა თოფი და გამობრუნებულს ცარიელ პატრონს შუბლი გაუგმირავს ბუდე პატრონისა ტვინში აღმოაჩნდა მიცვალებულს.

✦ კიდევ და კიდევ ჩივილი წლევანდელი წლის მოუსავლობაზე. სიმიდის ფასმა ძალიან აიწია და გაჭირვება აქიდანვე თავს ატყდება გლეხობას ბევრგან.

✦ ნ. ნიკოლაძის საქმის გამოძიების ცნობები ჯერ-ჯერობით 3600 თაბახს საწერი ქაღალდისას შეიცავსო.

✦ ს. მაღლაკიდან დღეს ა[ხ]ამა კ. ტყეშელაშვილი და სამი სხვა სოფლის—ქვიტირის, ფარცხანაყანევისა და მესხეთის წარმომადგენელნი, თფილისს მიე მგზავრებიან სარწყავი საქმის მოღყობის საშვამდგომლოთ.

✦ დორპატის ქართული სათვისტომო ამ მოკლე ხანში გამოსცემს არჩ. ჯორჯაძის კრებულს. წიგნში 300 გვერდი იქნება და ქუთაისში დაიბეჭდება.

✦ გერ. გაფრინდაშვილმა გუბერნატორთან შუამდგომლობა აღძრა იმის შესახებ, რომ ნება მიეცეს ქუთაისის გუბერნიის დაბა-სოფლებში აღზდის შესახებ ლექციები წაიკითხოს.

✦ ოდიშისა და გურიის დაბლობი ადგილებიდან ციებ-ცხელებისა (მალარია) და მუცლის ალსის (დიზინტერია) გავრცელების ცნობები მოდის. სოფლები მოკლებულია საექიმო დახმარებასა და სოფლის მკითხავ-აქიმების ხელში ჩავარდნილიაო.

✦ ალპანის (ლეჩხუმი) შკოლის მასწავლებელი ი. კაპანაძე დაინიშნა მღვიმევის შკოლის მეორე მასწავლებლათ; მასწ. მ. იმნაძე შუქრუთის შკოლისა და მასწ.; ქალი ე. ჩიმაკაძისა ზედა რგანის შკოლის მასწავლებლათ...

✦ შავი ზღვის ნაპირა რკინის გზის მიმართულება ჯერ გადაჭრით არაა გადაწყვეტილი, გაზეთებში კი არის იმის ცნობა, რომ გზა ტუაპსიდან წამოვა, ოთხი ვერსის მანძილზე ზუგდიდს ჩაუვლის, ამდენსავე მანძილზე დაშორდება ახალ სენაკსა და მდ. ცივთან ფოთის რკ. გზას შეუერთდებაო. ეს რომ სა[ბო]ლოო გადაწყვეტილება არაა, ამის [ცნო]ბა გუშინწინდელს ჩვენ გაზეთში გვ[ქონ]და:—ზუგდიდელების დეპუტაციას უ[თქვამთ] რეს პეტერბურგში, რო მიმართულ[ების] ნამდვილი პლანი ოქტომბერში უ[ნდა] გადასწყდესო.

✦ 26 აგვისტოს ქუთაისის საგუბ[ერ]ნიო ციხიდან რუსეთის საკატორღო [ცი]ხეში ეტაპით იგზავნება შემდეგი პირ[ები]: სმოლენსკში ალექსი გურზენკო, არლ[ოვ]ში იაგორ ცელაძე და ტერენტი დვ[ალ]აძე, მეგვონა და ესტატე ხუბულავა. [ყველა] სხვადასხვა სისხლის სამართლის სა[ქმის] გამო სხვადასხვა ვადით კატორგა [აქვთ] მისჯილი.

✦ ამ მოკლე ხანში ქუთაისის საგ[უ]ბერნიო ციხიდანვე რუსეთის სხვადას[ხვა] საკატორღო ციხეში ეტაპით იგზავნ[ება] დათიკო დგებუაძე, გრიგოლ ჯაფარ[იძე], ალექსანდრე მიქელაძე, ვალერიან [...]ლიშვილი, ანტონ ბასილაია, ვლადიმ[ერ] მინაძე იოსებ ეჯიბია, რაფიელ ქ[...] იორდანე იმნაძე, ექვთიმე ახობაძე და [...]ნო აურცილავა.

## თფილისი.

✦ ქართულ სასოფლო-სამეურნეო [...] ხოვადოების საბჭოს კრება 15 აგვ[ის]ტოს მოხდა. საბჭომ მოისმინა ვრც[ელი] მოხსენება საგანგებო კომისიისა (ვ. [...]რცხილაძე და პ. გ. მელია). რომელ[მაც] ამას წინად ქართლის რაიონის აგრონ[ო]მის ე. კარბელაშვილის ნამუშავერი [...] ათვალიერა. მოხსენების მოსმენის შემ[დეგ] საბჭოს მრავალი პრაქტიკული საკით[ხი] აღეძრა, რომლის გადაწყვეტაც სექტ[ემბე]რის პირველი რიცხვებისთვის გა[დაი]... ამას შემდეგ საბჭომ მოისმინა საგანგ[ებო] კომიტეტის მოხსენება საგარეჯოში გ[ან]ზრახული თათბირის შესახებ. როგო[რც] მოხსენებიდან გამოირკვა, მეურნენი [დი]დათ დაინტერესებულნი არიან თათბ[ი]რით, განსაკუთრებით მანქანა-იარაღებ[ის] თათბირში მონაწილეობის სურვილი [გა]ნუცხადებიათ როგორც ივრის ხეო[ბის] მეურნეებს, ისე სხვებსაც, დაუმზადებ[იათ] მოხსენებანიც.

# საგარეო პოლიტიკა.

ავსტრო-უნგრეთი წარმოადგენს სხვადასხვა ერისგან შეკოწიწებულ სახელმწიფოს.

ერთს პოლიტიკურ მოედანზე მომწყვდეულან უნგრები, გერმანელები, სლავები და იტალიელები!

ისტორიულ ბედს ერთად შეუყრია ეს ისტორიული მტრები.

და ხანგრძლივმა მეზობლობამ ვერ შეარიგა ისინი.

უნგრეთი თითქმის დამოუკიდებელი სახელმწიფოა, მაგრამ ცდილობს შეიქნეს კიდევ უფრო დამოუკიდებელი.

თვით ავსტრიაში მუდმივი, დაუსრულებელი ბრძოლაა სხვადასხვა მეზობელ ერს შორის.

იბრძვიან პოლონელები და რუსინები, ჩეხები და გერმანელები, ბოსნიისა და ჰერცოგოვინის სლავები და გერმანელები და სხ.

პარლამენტში, ანუ რეიხსტაგში, უკანასკნელ დროს მუდმივი არეულობა იყო. ხან ჩეხები უქირვებდნენ საქმეს და უშლიდნენ ხელს დეპუტატებს ლაპარაკის დროს, ხან გერმანელები მიმართავდნენ ხოლმე ამგვარ ობსტრუქციას.

1897 წელს ავსტრიის პირველმა მინისტრმა ბადენიმ გამოსცა პარლამენტის დაუკითხავად შემდეგი განკარგულება: ყოველ სამოსამართლოსა და ადმინისტრაციულ დაწესებულებას იმ ენაზე უნდა შეედგინა განაჩენი და განკარგულება, რომელ ენაზედაც ჩიოდა მთხოვნელი.

და, რადგან ბოჰემიაში ჩეხი მეტია, ვიდრე გერმანელი, ამიტომ ჩეხ მოხელეთა რიცხვი ძლიერ გამრავლდა გერმანელებთან შედარებით.

ვერ მოიწონეს ეს გერმანელებმა.

1899 წელს ბოჰემიაში ყველა გერმანული პარტია შეერთდა ამ პროგრამით: დაწესებულებათა შორის მიწერ-მოწერა უნდა ხდებოდეს გერმანულ ენაზე. რაც შეეხება იმას, რა ენაზე უნდა გასცენ პასუხი მთხოვნელებს, ბოჰემია უნდა განაწილდეს ორად: ჩეხებისა და გერმანელების ნაწილებადო.

და გერმანელების აგიტაციისა და პარლამენტური ბრძოლის წყალობით ოქტომბერში 1899 წ. გაუქმებულ იქნა ბადენის ხსენებული განკარგულება.

ჩეხებმა მათი სამშობლოს მთლიანობის დარღვევის მიზანი დაინახეს გერმანელების პროგრამაში.

და მათმა დეპუტატებმა საშინელი ობსტრუქცია გამართეს ავსტრიის რეიხსრატში.

შეუძლებელი შეიქნა საკანონმდებლო მუშაობა.

მეორე მხრით გერმანელები ბოჰემიის ლანდტაგში უმართავდნენ ჩეხებს ობსტრუქციას.

მინისტრმა კერბერმა 1900 წ. ვერ მოახერხა მათი შერიგება და ვერ გაატარა ახალი კანონი ენის შესახებ.

დაიბადა აზრი, რომ, თუ შემოიღებენ თანასწორსა და საყოველთაო საარჩევნო უფლებას, მაშინ რეიხსრატში შემოვლენ დემოკრატიული ელემენტები, რომელნიც ყურს ათხოვებენ მარტო ეკონომიურ საკითხსა და სრულიად აიღებენ ხელს ეროვნულ საკითხზე.

და დეკემბერში 1906 წელს ბარონ ფონ ბეკის მინისტრობის დროს ავსტრიის ხალხს მიენიჭა თანასწორი და საყოველთაო საარჩევნო უფლება.

ამგვარად ეროვნულმა ბრძოლამ ხელი შეუწყო დემოკრატიული პოლიტიკური რეფორმის განხორციელებას.

ეს დიდი ფაქტი ცხადად უარყოფს ჩვენი სოციალდემოკრატების აზრს, ვითომ ეროვნულ ბრძოლას შედეგად მოსდევს უთუოდ და უპირობოდ უკანდახევა, რეგრესი, და არა წინსვლა, პროგრესიო.

მაგრამ მოლოდინი, რომ ახალი რეიხსრატი თავს მიანებებს ეროვნულ საკითხსო, არ გამართლდა. მართალია, 1907 წელს ჩამოვარდა დროებითი ზავი: გერმანული ენა აღიარეს ოფიციალურ საპარლამენტო ენად, რადგან ეს ენა ყველას ესმის.

მაგრამ ბოჰემიაში კიდევ უფრო გამწვავდა დამოკიდებულება გერმანელებსა და ჩეხებს შორის.

იქაურ ლანდტაგში უმრავლესობა ჩეხებს აქვთ.

და გერმანელები ვერ შერიგებიან ამ ფაქტს.

ოც წელზე მეტია, გერმანელი დეპუტატები რომ ხელს უშლიან, ობსტრუქციას უმართავენ ლანდტაგს.

სრულიად შეჩერდა ლანდტაგის მუშაობა.

ბოლოს ხარჯთაღრიცხვათა დაკანონებაც კი შეუძლებელი შეიქნა.

ბოჰემიის სამეფოს კასა დაცარიელდა და იმპერატორი იძულებული შეიქნა დაეთხოვა ლანდტაგი და გაეუქმებია დროებით ბოჰემიის კონსტიტუცია.

გერმანელებმა გაიმარჯვეს.

მათ ამჯობინეს ბიუროკრაციული კომისიის ბატონობა ჩეხების უპირატესობას.

მაგრამ, ცხადია, მალე გამოფხიზლდებიან და დარწმუნდებიან, რომ ჩეხებთან თანხმობა ურჩევნიათ, ვიდრე ბიუროკრატიის უკანტროლო ფარფაში.

და, მწამს, მალე მოხდება ეს სასურველი შეთანხმება.

აქ უნდა აღვნიშნო მხოლოდ ერთი ფაქტი. ბოჰემიას, როგორც გალიციას, აქვს მხოლოდ ადმინისტრატიული და საერობო თვითმართველობა, ე. ი. ის აგრეწოდებული ფართო სოლქო თვითმართველობა, რომელსაც აღიარებს ზოგიერთი ჩვენებური ვითომდა „ავტონომისტი"—სოციალდემოკრატი.

ავსტრიის კონსტიტუციას ვერ სცილდება მათი პოლიტიკური რადიკალიზმი!

*
* *

ბალკანეთის სახელმწიფოები, ოსმალეთისგან წართმეულის განაწილების დროს წაიკიდენ და ერთმანეთს დაერიენ.

ბულგარეთმა ყველაზე მეტი მოინდომა, მაგრამ ყველა ერთად მიესია და ნამცეცი გადაუგდეს.

მაკედონია, ბულგარლებით დასახლებული, თითქმის მთლად წაართვეს: სერბიამ და საბერძნეთმა მიითვისეს ორმოც-ორმოცი ათასი კილომეტრი და ბულგარეთს მიუგდეს მხოლოდ ათი ათასი.

რუმინიამ, რომელსაც სრულიადაც არ მიუღია მონაწილეობა ოსმალეთთან ომში, ჩამოგლიჯა ბულგარეთს ნაყოფიერი ოლქი—დობრუჯა, რომელიც, სამართალი მოითხოვს ვთქვათ, ეთნოგრაფიულად კიდევაც უნდა ეკუთნოდეს რუმინიას.

მეორე ომი—უფრო დაუნდობელი და სასტიკი იყო, ვიდრე პირველი.

სერბია, საბერძნეთი, რუმინია და ოსმალეთი სხვადასხვა კუთხიდან შეესიენ ბულგარეთს, რომელსაც არ შეეძლო წინააღდგომოდა ყველას ერთად, და დაემორჩილა ბედს.

მართალია, ფრაკია ადრიანოპოლითურთ ხვდა წილად ბულგარეთს, მაგრ[ამ] ეს სიმაგრე ისევე დაიჭირეს ოსმალ[ოს]ებმა და თანდათან წინ მიიწევენ.

შესაძლებელია ბულგარეთს კიდევ [და]ატყდეს თავს ახალი ომი.

არც ის იქნება მოულოდნელი, [რომ] ევროპა ჩაერიოს საქმეში და განდევნ[ოს] ოსმალონი ადრიანოპოლიდან.

რუსეთის ინიციატივით მოლაპარაკ[ება] აქვთ გამართული დიდ სახელმწიფო[ებ]ებს, გამოუცხადონ ოსმალეთს ფინ[ან]სიური ბოიკოტი, ე. ი. აღარ ასესხ[ონ] ფული.

ერთი სიტყვით სამხედრო ცისკიდუ[რი] კიდევ არ არის ჯერ მოწმენდილი [და] შეიძლება კიდევ შევიქმნეთ დიდი ომ[ის] მოწმე ახლობელ დროს.

ხსენებული ფაქტებისგან იბადება შ[ე]მდეგი დასკვნა: ძნელია პოლიტიკუ[რი] კავშირი მეზობელ ერებს შორის, რ[ო]მელთაც ქონიათ ერთმანეთთან ისტორ[ი]ული ანგარიში.

ბალკანეთის სახელმწიფოთა ფედე[რა]ციული კავშირის იდეა თითქმის სამუდ[ა]მოთ დაიმარხა.

ბულგარელნი ვერ შეურიგდებიან [მა]კედონიის მცხოვრებთა ძალით გაბერძ[ნე]ბასა და გასერბიელებას!

და ბალკანეთის სახელმწიფოთა შეუ[რ]შირებლობა და სისუსტე ხელსაყ[ელ]ლია დიდი მეზობელი სახელმწიფოებ[ის]თვის.

ახალგაზდა თურქების იმპერიალისტ[უ]რი პოლიტიკა კი საშინლად დამარცხ[და].

არ მიკვირს, ჩვენებური სოციალდემ[ო]კრატია რომ თანაუგრძნობდა მათს პ[ო]ლიტიკას: მისი მოძღვრების დედა-ბოძ[ი] ხომ იმპერიალიზმია!

ადრიანოპოლიც რომ შეირჩინოს, [...]

სამელიორაციო კრების მომწვევ ...ტეტის პირველი კრება 14 აგვის... მოხდა კავკასიის სასოფლო-სემეურ... საზოგადოების სადგომში მეფის ...ლის თანაშემწის სენატორი ე. ი. ...ის თავჯდომარეობით, რომელმაც ...ბა კრებას შემდეგი: მეფის მოადგი... თანამდებობის აღმასრულებელს გე... ნ. პ. შატილოვს, საწინააღმდე... აქვს რა იმისა, რომ 1914 წელს ...ლისში მოწვეულ იქნას ამიერ-კავ... სამელიორაციო კრება, რაც შე... მიწათ-მოქმედებისა და მიწის-მო... მთავარ სამართველოს, რომ... წინაშეც შუამდგომლობაა ალ... კრების მოწვევის ნების დართვის ...ხებ, მისი პასუხი ამ დღეებში მოვა. შემდეგ აირჩიეს კომიტეტის დამა... წევრები, მოხვდნენ: თფილისის ...ერნიიდან—ერთი წევრი, ქუთაისის ...ერნიიდან—სამი (მათ შორის ორი ...დ-აზნაურობის მხრით), ბაქოს გუ...ნიიდან—ორი, ერევნის გუბერნიი... — ოთხი, და დაღესტნის ოლ... — ერთი. ამას შემდეგ არჩე... იქნ ინ კომიტეტის ბიუროს ...ები: მეფის მოადგილის თანა... სენატორი ე. ა. ვატაცი (ბიუროს ...ჯდომარე), უგანათლებულესი თ-დი ... გრუზინსკი, თფილისის თავად-აზ...რთა წინამძღოლი თ-დი კ. ნ, აფხაზი, ვ. ბეზობრაზოვი, ნ. ა. პეტროვი. ვ. ...ოკოლოვი, ნ. ბ. როუნოვი, გ. ვ. ...ცალოვი, ვ. ნ. კრონინგი. ს. ნ. ...ხიშვილი, ა. მ. ფონ-ესსენი, გ. ზ. ...დიანი, ს. ფ. ზავალიშინი, პ. პ. ...ვედიევი, დ. ვ. ივანოვი, ვ. ი. სოკო...ვი. დასასრულ კომიტეტმა განიხილა ...თხი იმის შესახებ, რომ კრების მო...ვევათ ნივთიერი დახმარება ეთხოვოს ...ვრობისა და საზოგადო დაწესებულ...ბს, მაგრამ საკითხის გადაწყვეტა გა...დო იმ დროსთვის, როდესაც მიწად-...მედებისა და მიწად-მომწყობის დეპარ...ენტი კრების მოწვევის ნებას დართავს.

**საბირჟო ცნობები.** 16 აგვისტოს ...ლისში შეთანხმება არ მომხდარა. ...ცენტიანი ქაღალდების ფასი შემდეგი ...: თფ. ქალაქის საკრედიტო საზოგა...ების 5 პროც. ობლიგაციებისა: აფა...დენ—84 მან. 80 კ., აძლევდენ 84 მან. 15 კ., თფ. სათავად-...ურო საადგილ-მამულო ბანკის 5 პრ... გირავნობის ფურცლებისა: აფასე...ენ—82 მ. 80 კაპ. აძლევდენ—82 მან. ... კ. და ქუთაისის სათავად-აზნაურო ...დგილ-მამულო ბანკის 5 პროც. გირა...ბის ფურცლებსა; აფასებდენ—79 ... 40კ., აძლევდენ—78 მან. 35 კაპ. ...ელმწიფო მომგებიან ბილეთების საკურ... ნორმა შემდეგი იყო: პირველი სესხის ...ეთებისა—485 მ., მეორისა—360 ..., და მესამისა—316 მან.

ს. გ.

# სოლომონ მეფის საფლავი.

...მერეთის უკანასკნელი მეფე სოლომონ მეორე ყოველ ღონისძიებას ხმარობდა, რომ იმერეთი ცალკე სამეფოთ დარჩენილიყო და არ შეერთებოდა რუსეთს. მაგრამ ბოლოს ბოლოს პირდაპირ იძულებული შეიქნა დაეთმო რუსებისთვის. იმერეთი კიდევ არ დანებდებოდა, რომ ოდეში არ შეერთებოდა რუსეთს და თავადს ციციანოვს არ დაეთანხმებია ოდიშის მთავარი გრიგოლ დადიანი, რომელმაც „4 დეკემბერს 1803წ. ხელი მოწერა დედანს „სათხოვარ მუხლებისას", ფიცი მისცა იმპერიის ერთგულობისა და მიიღო ორდენი ალექსანდრე ნეველისა, რამაც, უნდა შევნიშნოთ, უმთავრესი გავლენა იქონია ოდიშის რუსეთთან შეერთების ისტორიაში". (Мих. Хелтуплишвили. Вступленіе Грузіи в состав Россійской Имперіи. იხილეთ გვ. 62.) თუმცა ოდიშის შემოერთებას შემდეგ იმერეთის სამეფომ კიდევ შვიდი წელი იარსება და მხოლოდ 1810 წელს შეუერთდა რუსეთის იმპერიას. სოლომონი კი გაიქცა ახალციხის საფაშოში, საიდანაც 1812 წელს გაემგზავრა ტრაპიზონს და იქ 1815 წელს გარდაიცვალა. დასაფლავებულია სოლომონ მეფე ტრაპიზონში ბერძნების საეპისკოპოზო ეკლესიის გალავანში. (ამავე ქალაქში მხოლოდ სხვა ადგილას ყოფილა დასაფლავებული აგრეთვე სოლომონ მეფის ასული). გადაღებული სურათი სოლომონ მეფის საფლავისა ჩვენ გადმოგვცა სტამბოლის ქართველ-კათოლიკეთა ძმობის წინამძღვარმა მამა პიო ბალიძემ, რომელსაც ტრაპიზონში გამოვლისას შემთხვევით ერთ ფოტოგრაფიაში შეუნიშნავს ეს სურათი და დარჩენილი სამი ცალი მისი თან წამოუღია. სურათს შემდეგი ფრანგული წარწერა აქვს: Tombeau, de Salomon, derneir roi de basse Jbérie, á Trèbizonde.

„საფლავი სოლომონისა, ქვემო იმერის უკანასკნელი მეფისა ტრაპიზონში". როგორც სურათი გვიჩვენებს, საფლავს ქვის კუთხის ოთხ სვეტზე ქვის თალია რომელსაც პატარა გუმბათიც ადგია.

სახურავი დახურულია კრამიტით. თალზე შიგნიდან და გარედანაც მხატვრობა და ქართული წარწერაა, ხუცური და მხედრული. შიგნიდან—როგორც გადმოგვცა მამა ბალიძემ—ყოფილა დახატული აღმოსავლეთის მხრით ქართველ მეფეთა ღერბი ბერძნულის წარწერით, დასავლეთით კი ის ეკლესია, რომლის გალავანშიც ასაფლავია თვით მეფე სოლომონი. თალზე ერთ ადგილს შემდეგი წარწერაა: „განმეძარცვა მე პირველ ქმნილი სიკეთე და მშვენიერება და მდებარე გარ შიშველი და კდემული საფლავსა ამასა შინა ტომისაგან დავითისა შთამოსრული ბაგრატიონი ძე არჩილისა სრულიად იმერთა მეფე სოლომონ, რომლისთვისაც ვითხოვ შენდობასა ფებერვლის ზ ქ. ს აქეთ ჩყიე." ცოტა ქვეით არის ხუცური წარწერა „მეფე სოლომონ". ახლა—მამა ბალიძის სიტყვით—რაც სურათზე მოჩანს, ისიც აღარ ეტყობა, რადგან ამ თალის ერთი ადგილი ჩამონგრეულა და წარწერაც გამქრალა.

პროფ. ალ. ხახანაშვილს თავის აღწერაში—„იმერეთის მეფე სოლომონ მეორე"—აქვს აღნიშნული ამ თალის წარწერები, რომელიც აქვე მოგვყავს: „საფლავსა ამასა შინა მდებარე იმერთა მეფე სოლომონ, წელი ჩყიე. ჰსაჯენ, უფალო, მავნებელნი ჩემნი და ჰბრძოდე მებრძოლთა მათ ჩემთა· (ფსალ. 34) მომიხსენეთ მე, ძმანო, საფლავსა ამას მდებარე მეფე სოლომონ."

ასეთია საფლავი იმ დიდებული ადამიანისა, რომელიც თავდადებულათ იბრძოდა სამეფოსა და ხალხისთვის და სწორეთ ეს არის მიზეზი იმისა, რომ ასეთი ადამიანი დღეს ოსმალთა სამეფოში ბერძენთა ეკლესიის გალავანში უბრალო ძეგლის ქვეშ განისვენებს.

ს. ასლანიშვილი.

...ლოთა, ანუ ოტტომანთა, იმპერია თავის ...ეში ვეღარ დაიბრუნებს უძლეველი ...ხედრო იმპერიის სახელს.

...ჩაბარდა უკვე ისტორიას მისი სამხედ... ძლევამოსილება.

და ოსმალეთის განახლება შეუძლია ...ლოდ სამოქალაქო თავისუფლებას, ე. ... ფედერალიზმის პრინციპის გამარჯვე...ს.

...ავტონომიურ თვითმართველობას თუ ...ანიჭებს არაბებს, სომხებს, ქურთებს, ...ზებსა და სხ., მხოლოდ მაშინ დაადგება ოსმალეთი განახლების გზას.

მხოლოდ მაშინ მოიპოებს სხვადასხვა ...ის ნდობასა და ერთგულობას.

და მაშინ შეიძლებს თავის დაცვას გარ...მორტყმულ მტერთაგან, რომელნიც ...მობენ მის ჩაყლაპვას.

და, თუ ძველი გზით სიარული არჩია, ... სახელმწიფოები დაიმკვიდრებენ მის ...გრევებს.

* * *

ჩინეთში ჩრდილოეთმა გაიმარჯვა.

გაიმარჯვა მაშასადამე, იმპერიალიზმისა ... ცენტრალიზაციის პრინციპმა.

ჯერ არ არის იქ შემოღებული საყო...ლთაო სამხედრო ბეგარა.

და დაქირავებული ჯარი, რასაკვირველია, იმის მხარს დაიჭერს, ვინც ქირა...ს.

ჩინეთის პრეზიდენტმა იუანშიკაიმ სამ...ეთის ახალი რევოლუციის ჩაქრობას ...ახმარა ევროპიელთაგან მამასისხლად ...ებული სესხი.

...მოიმადლიერა, გაიერთგულა ჯარი და ...უსია სამხრეთს.

სამხრეთის რევოლუცია დამარცხდა და ...ეთის პირველი რევოლუციის მოთავე ...ნიაცენი და მისი მომხრეები უცხოეთ... გადაიხვეწნ.

და შურისმაძიებელმა მთავრობამ სასყიდელი აღუთქვა მათი თავების მომკვეთს!

მაგრამ, ვფიქრობ. იუანშიკაის გამარჯვება დროებითია.

შეუძლებელია, ჩინეთმა უარყოს რესპუბლიკა და კიდევ დაუბრუნდეს ძველ წესწყობილებას.

და კიდევაც რომ ხელახლა აირჩიონ პრეზიდენტად იუანშიკაი, ის იძულებული იქნება დაემორჩილოს პარლამენტს.

ჩინეთის პარლამენტი კი უთუოდ პოლიტიკური დეცენტრალიზაციის მომხრე იქნება:

ჯერ ერთი, რადგან ჩინეთში სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ერები არიან და, მეორე, რადგან ჩინელები ევროპისაგან კი არა, არამედ ამერიკისაგან და ავსტრალიისაგან სესხულობენ პოლიტიკურ იდეალს: ჩინელი მუშა არსად არ არის იმდენი, რამდენიც ამერიკაშია.

ამგვარათ ჩინელთა ფედერალიზმი ამერიკის პოლიტიკური წესწყობილების ანარეკლია.

კავშირი ჩინელთა და ამერიკელთა შორის თანდათან უფრო მჭიდრო შეიქნება.

და ამერიკის გავლენა იქნება, მაშასადამე, მუდმივი და არა დროებითი.

ამგვარად, მხოლოდ დროებით გაიმარჯვა იუანშიკაის დიკტატურამ.

და ის ფაქტი, რომ ჩინეთი მაინც კიდევ რესპუბლიკად დარჩა, ძილს უფთხობს ქვეყნის რეაქციონერებს.

ისარი.

# სანთური.

სანთურს ტლანქად ჩამოვკარი, ჩამოვკარი ხელი მძიმე,
და გადაწყდა ცელქი სიმი, გატყდა ჰანგი მოციმციმე...
სანთურს სიმი გავუკვანძე, სიმი გრძნების და თილისმის—
მაგრამ, ვაჰმე, ძველებურათ ის ჰანგები აღარ ისმის.

ბრბო კი ამ ჰანგს, ამ მიმქრალ ჰანგს, დახარხარებს ბრაზ-მოსული
და არ ყოფნის სასაცილოთ უთვისტომო მგოსნის სული.
მაგრამ ამ ბრბოს ვით ავუხსნა, ვით ჩავაცვა აზრთ-სამოსი,
რომ ამ ჰანგშიც ძალუძს მგოსანს სთქვას გოდება მსოფლიოსი.

ი. გრიშაშვილი.

# მხცოვანი მგოსნის აკაკის

მომავალი მოგზაურობის ცნობები მუხიანის მიდამოში

მუხიანის ახლად აშენებული პინა ბიბლიოთეკისა ეკურთხება 29 აგვისტოს დღის 1 საათზე. მგოსანს, სამკითხველოს გამგე, ერთი კომისის და წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების ერთ წევრთან ერთად, ეტლით წამოიყვანენ ქუთაისიდან დილის 9 საათზე. ქვიტირის საზოგადოების ნაწილი მას დახვდება ქვიტირის სამკითხველოსთან და იქ მიართმევს პურ-მარილს. მუხიანის მცხოვრებნი, სამკითხველოს კურთხევის მომწყობ კომისიის წევრების და სხვა საზოგადოების წარმომადგენლებითა და მოწვეული მწერალ-არტისტებით შეხვდებიან სადგურ მუხიანთან პურ-მარილითა და სიტყვით. სადგურიდან სამკითხველოს ბინამდი მოსწავლენი და ხალხი, ქუჩის ორ პირზე მდგომნი, მიეგებებიან სალამით· 1 საათზე ეკურთხება შენობა. კურთხებას შემდეგ წაიკითხება ხუთი წლის ანგარიში სამკითხველოს შემოსავალ-გასავალისა და აეხსნება ხალხს დაწვრილებით ბიბლიოთეკა სამკითხველოს მნიშვნელობა; შემდეგ გაიმართება სადილი. საღამოს აკაკის მონაწილეობით გაიმართება მეჯლისი—საღამო, რომელიც შესდგება სამი განყოფილებისაგან: აკაკის ლექცია, ქართული წარმოდგენა—„ბუტიაობა" აკაკისა. და ლიტერატურული განყოფილება: ლექციები და სცენები.

მეორე დღეს დილის 9 საათზე მუხიანიდან მგოსანი გაემგზავრება საყულიას. მაცხოვრის ეკლესიის გალავანში ხალხი დახვდება და მიართმევს პურ-მარილს. გაიმართება საუზმე და შემდეგ საჩინოს გაემგზავრებიან.

გარდა უმთავრესი კომისიისა, არჩეულია მეორე კომისია სოფ. საყულიაში, რომლის ვალდებულობაცაა ადგილობრივ პოეტის პატივისცემა.

დღეიდან ყველა საზოგადოებას ეცნობა—თავის წარმომადგენლები გამოგზავნონ მუხიანს 29 აგვისტოსთვის.

(გან.)

# ქუჩური პრესის მახინჯებს.

მართლაც—„ნუთუ ე. წ. (ეს წამებული, არა?) საზოგადოება, ქართველი საზოგადოება ისე დაეცა, რომ არაფერს იტყვის პრესის ასეთ გარყვნის შესახებ?—დავიწყებთ იმ სიტყვებით, რომლითაც „განთიადის" „ქუჩური მეპრესე" აბოლოვებს თავის წერილს...

...რომელ ქართველ საზოგადოებაზე ბძანებთ, მახინჯებო, ვის მოუწოდებთ? თქვენი ლაშქარი თქვენ მიერ შეხანხლულ პროტესტებზე აწერს ხელს. ამით თქვენ მუხნიეთ გზაკვალი, თვით გზაკვალ არეულებმა, თვით უგვარო-უტომოებმა, გადამახინჯებულებმა. ეს საზოგადოება თქვენ ბრმა იარაღათ გაიხადეთ. ნამდვილმა ქართველმა საზოგადოებამ კი იცის კარგათ და დიდი ხანიცაა თქვენი ფასი.

სწორეთ თქვენის მეოხებით გაქუჩურდა ქართული პრესა, გაირყვნა იგი და გადაცდა თავის დანიშნულებას.

ბევრჯელ გადაფვიწყვეტია—თქვენს მახინჯ წერილებზე ხმა არ გაგვეღო, მარა რომ თქვენებრ ბრმებს და თქვენ მიერ დაბრმავებულებს, გზიდან გადამცდართ, ეს სიჩუმე ისე არ მიეღოთ, თითქოს ჩვენ სათქმელი არ გვქონდეს რა—გვიგია პასუხი... „პატიოსან მებრძოლთ შორის იარაღი—ნამუსია". გესმისთ თქვენ ამისი რამ? არაფერი! ეს ნამუსი კარგა ხანია წაირეცხეთ!

...„იარაღსაც ადვილათ აიღებდენ ხელში და მით იდეურ მოწინააღმდეგეთ დიდი სიხარულით გაუგმირავდენ გულს"-ო—ასე სწერს, სხვათა შორის, „ქუჩის პრესის" ავტორი.

რა გულს, რომელ გულს!? თქვენც ვითამ გულის პატრონი ხართ! ე მაგ სნეულ გულს რა იარაღი სჭირია... დღითი-დღე ემჩნევა, როგორ არჩობს, სწორ ცემას უხშავს საკუთარი გესლი და ნაღველი, რასაც პროტესტებისა, თუ სხვა მახინჯი წერილების სახით ანთხევს გაზეთის ფურცლებზე...

ვინმე შაქარაშვილის წერილი ძიმწარეთ მოხვედრია მათ და „ქუჩის პრესას" ავტორი ამხედრებულა ჩვენს წინააღმდეგ. „განთიადის" სულელურ „საპროტესტო წერილებზე" ჩვენ დღე მუდამ მოგვდის საპასუხო წერილები. შაქარაშვილის წერილში რედაქციას არაფერი შეუცვლია, მარა გამოძიება მართლაც არ მოუხდენია მზგავსად იმისა, როგორც „განთიადლები" იძიებენ—რამდენი წლის ბალღები, ვინ სადაური სად, და რამდენჯერ აწერს ხელს მათ მიერ შეთხზულ პროტესტებზე, რომელსაც დასელთა გზირ-ქეშიკნი ქალაქ-დაბიდან-სოფლად დაატარებენ და უვიც ხალხს ხელს აწერიებენ...

კმარა... სიმახინჯე ამაზე შორს ვეღარ წავა!..

ბოდიშს მოვიხდით მკითხველი საზოგადოების წინაშე: მაგარ სიტყვებს, ძალაუნებურათ მაგარივე სიტყვები მოყვება. უტიფარსა და ზნეგასულ ბალღს რომ წაუყრუებთ, სულ უარესსა და უარესს იქმს. დროით უნდა ჩაკრა ლაგამი, თვარა რაც გაიზდება... კიდევ კარგი, რომ თავის თავს აუტეხდეს რასმე—გაბრიყვებული ძოლოს შენდა საჭირბოროტოთ დარჩება...

# მთვარიან ღამეში.

სიცილ-კისკისით მიაბიჯებენ გზა-ბილიკზე სუროსავით რომ შემოხვევია ქალარა მთას. ყველა წინ მიიჩქარის...

ქერა ვაჟს თვალები უკან რჩება: შავ თვალებს დაუბორკავს...

ქერამ ნაბიჯს უკლო; შავთვალას გვერდით ამოუდგა.

— რა ლამაზია ღამე მთებში!—ღიმილით ეუბნება ქალი.

— მოუხიბლავია იდუმალი მთა მკრთალ ღამეში!..—და ვაჟი ქურუშივით შესცქერის შავ თვალებს, საიდუმლოებით სავსე თვალებს...

ნაბიჯს მოუკლეს, სხვებს ჩამორჩნენ...

ღამის მდუმარე დედოფალი ღიმილით გადმოდგა მთის თეთრ თავზე და სიზმრით შემოსა ღამე...

ჩამორჩენილი წყვილი მუნჯათ მიაბიჯებს.

— თინა!—გაუბედავათ უხმობს ვაჟი.

— ჰა!

— იცი, რა მწარეა სიყვარული და თან ტკბილიც... იგი ნაღველი და ცეცხლია, იგი ტკბილი სევდაა...

და კვლავ დუმილი.—ვაჟი თვალებში შესცქერის.

შავი თვალები! ო, რა კარგია შავი თვალები... როდესაც სალმერთებელ არსებას, შავ თვალებში ჩაცქერი, გავიწყდება წყურვილი, შიმშილი... შავი თვალები შეგაყვარებენ სიცოცხლეს... სატრფოს თვალებში ლამაზ ქვეყანას ნახავ... იქ დაკარგულ ღმერთს იპოვი...

— გახედეთ ხალისიან არეს, ყური უგდეთ ტყის იდუმალ ხმას: იგი შავ თვალებს უმღერის ჰიმნსა, იგი სიყვარულს შეაქებს...

და ვაჟს თვალები უბრწყინავს, მას აღარაფერი ახსოვს, მარტო შავ თვალებს შესცქერის სასოებით...

— აგრე მხოლოდ შეყვარებულნი ლაპარაკობენ...

— ჰო და... მეც მიყვარხარ, თინა!

თინა შეჩერდა.

— აღარ მწამდა სოფელი და ვიწამე იგი... მე ვიწამე სოფელი, შენს თვალებში რომ ჩახატულა... არ გამეგონა ტკბილი სიტყვა და შენს თვალებში ამოვიკითხე... დავეძებდი ღმერთს და ვიპოვე: იგი შენა ხარ, თინა! მიყვარხარ!..

— მეც... თანახმა ვარ—გამოგყვეთ...

— თინა!

— მე თანახმა ვარ ცოლათ გამოგყვეთ...

ვაჟი გაშეშდა... ღამის ჯადო დედოფალი ღრუბელს ამოეფარა და არეს სიზმარი გახადა. ვაჟის წინ ღმერთი აღარ დგას... იქ დედაკაცია...

დაეწიენ...

ვაჟი თავდახრილი მიდის; სახე მისი სევდას მოუცავს.

ამხანაგებს არ შეუმჩნევიათ... სიცილკისკისით მიაბიჯებენ აღმართში...

ალ. ცირეკიძე.

# მშრომელი ხალხი.

**ბაქოს ამბები.** პეტერბურგში ნავთის მრეწველთა საზოგადოების გამგეობამ ბაქოდან 10 აგვისტოს ცნობა მიიღო წვრილ ფირმებში მუშაობა უკვე დაიწყოვო. სხვილსა და ძმათა მირზოევის სამრეწველოებში სწარმოობს მუშაობა შეთანხმება არ მოხდა ბიბი-ეიბათში რუსთა საზოგადოების სამრეწველოში, სადაც 1000 მუშა მუშაობს. მანთაშევის, კასპია—ჩერნომორისა და ძმათა ნობელების ფირმაც ვერ შეუთანხმდა მუშებს, ამ სამ სამრეწველოში დაახლოებით 7 ათასამდი მუშა მუშაობს. აღნიშნული ფირმები მუშების მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე გადაჭრით უარს აცხადებენ. მუშებიც არ თანხმდებიან ძველ პირობებში მუშაობაზე. „დენს" გაუგია რომ ფუთი ნავთი ოთხი კაპიკით ან 1 შაურით გაძვირდება.

**გაფიცვა.** ლონდონში გარდა მღებავი მუშებისა, სხვა სამრეწველოს მუშებიც გაიფიცენ. შტრეკბეიხერებთან მუშაობა არ ისურვეს და საადმირალოს მუშებიც გაიფიცენ.

**მუშების დაღუპვა.** მდინარე ლენაში ორი ნავი წყალმა დასძირა. მუშები ნავით ბოდიბოს მიდიოდენ. დაიღუპა დაახლოებით 49 კაცი, გადარჩა მხოლოდ ორი.

**ოკტომბრისტები და ნოქრები.** ოკტომბრისტებმა სავაჭრო სახლის პატრონთ ცირკულიარი გაუგზავნეს სადაც აღნიშნულია, ნოქართა კრება პოლიტიკური ხასიათის საკითხებით დაინტერესდა, რის გამოც დაიხურაო.ოკტომბრისტების ცენტრალური კომიტეტი ჯერ თვითონ იმსჯელებს ამ საკითხზე და შემდეგ გარეშე პირთა თანდასწრებითაც მოახდენს რამდენიმე კრებასო. ბოლოს მასალების შეგროვებას შემდეგ სათათბიროს ოკტომბრისტთა ფრაქცია კანონპროექტსაც შეიტანს ამ საქმეზეო.

# რუსეთი

**ქურდთა ბუდე.** ქალაქ ოდესის განაპირა ნაწილში გამოქვაბული აღმოაჩინეს,

**მიღებულია:**
რკინის კოჭები შენობისთვის (Двутавровыя балки)
ნამდვილი მაზმუტის ალიბასტრი.
✦✦ **იყიდება ზომიერ ფასათ** ✦✦

**სავაჭრო სახლი**
# ი. გოკიელის შვილების
**ქუთაისში.**

| ბორჯომის წყალი | | 1 ბოთლი | 10 ბოთ. |
|---|---|---|---|
| | 1/2 | 25 კ. | 2 მ. 40 კ. |
| | 1/2 | 16 1/2 კ. | 1 მ. 60 კ. |
| ნარზანი და ყვან-ტუ № 20 | 1/2 | 14 1/2 კ. | 1 მ. 40 კ. |

დეკორატეულის, ჭურჭლეულობ-ბის, ავეჯეულობისა და შპალერის
ქ. ქუთაისში.
# ფ. ს. ფილიპოვისა.
ალექსანდრეს ქუჩ…

მოეპოვება ყოველთვის ელექტრონის მრავალგვარი არმატურა და მისი მოწყობილებანი, ყოველნაირი საოჯახო სამკაული: ნავთის სამოვრები, ღუმელები (ფეჩები), სამზარეულოებ… ტაკზე საფენი „ლინოლეუმი", სამუსიკო ინსტრუმენტები (საკრავები), საეკლესიო სამკაული და მრავალგვარი მეირფასი საოჯახო ნივთი, აუარებელი ასარჩევი ნიმუში, შპალერ… ფი 2 შაურიდან ვიდრე მანეთნახევრამდი ფასები ყოველი კონკურენციის გარეშე.

**პატივისცემით ფ. ს. ფილიპო…**


რომელიც ქურდებს კლუბათ ქონიათ მიჩნეული. ამ გამოქვაბულში ქურდები ქალადს თამაშობდენ და ქალებთან ერთათ ქეიფობდენო. კლუბში 20 ქურდი დააპატიმრეს. გამოირკვა, რომ კლუბი ერთი წლის განმავლობაში არსებობდა.

**ათონის ბერები.** პეტერბურგში 10 აგვისტოს სინოდის წევრთა კრება მოხდა. არქიეპისკოპოზმა ნიკონმა მოკლე მოხსენება წაიკითხა ათონის ბერების შესახებ. კრებამ მოისმინა ნიკონის მოხსენება და შემდეგ შეეკითხა: რა მიზეზი იყო რომ ათონში სამხედრო ძალა მიიწვიესო. პირველათ როდესაც მივედი ათონს გავკვირდი, ჩემს წინ იდგა ბრბო, რომელთანაც ქადაგით ვერაფერს გავხდებოდიო.

**ქალთა უმაღლესი კურსები.** მოსკოვის ქალთა უმაღლეს კურსებზე თხოვნების მიღება შესწყდა. 1550 ადგილზე, 3075 თხოვნა მიუციათ. თხოვნების შემტან ებრაელთ გაუცხადეს: სხვა მოწმობებთან ერთად უნდა წარმოადგინოთ მოწმობა მოსკოვში ცხოვრების უფლებისაო.

**საზოგადოების დახურვა.** კიევში დახურეს პირველდაწყებითი საშვალო და უმაღლეს ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება. საზოგადოების დახურვა 1910 წელს საზოგადო კრების დადგენილებამ გამოიწვია. ამ წელს კრებამ დაადგინა სათათბიროს ოპოზიციის ერთ დეპუტატს ეცნობოს ჩერნიგოვის გუბერნატორის უკანონო მოქმედებაო.

**ცეცხლი არხანგელსკში** კანაფის ქარხანა დაიწვა. ქარხანა 1827 წლიდან არსებობდა. ორითვის განმავლობაში ამ ქარხანას ეს მეექვსეჯერ არის რომ გაუჩნდა ცეცხლი. დამზღვევი საზოგადოების ზარალი 3 მილიონ მანეთს აღემატება.

## უცხოეთი.

**იტალია და ავსტრია.** იტალიელები ძალიან შეშფოთებული არიან ავსტრიის იმ განკარგულების გამო რომლის ძალითაც ტრიესტის მუნიციპალიტეტიდან უცხოეთის ქვეშევრდომი მოსამსახურეები დაითხოვეს. უცხოეთის ქვეშევრდომებს ტრიესტში მხოლოდ იტალიელები შეადგენენ. იტალიის გაზეთები სწერენ: იტალია-ავსტრიას შორის დამოკიდებულება გაუმჯობესდა და შეუწყნარებელია ამ დროს ასეთი ღონისძიების მიღებაო; გაზეთები თხოულობენ, მთავრობამ ამას ენერგიული ყურადღება მიაქციოს.

**ჩინეთის ამბები.** ნანკინს ჩრდილოეთელთა ჯარი გარს არტყია. თუ სამხრეთლები ნებით არ დანებდენ ბრძოლა ისევ დაიწყება. ნანკინში უმთავრესი ფორტები ჩრდილოეთლებს უჭირავსთ. უცხოეთის მცხოვრებლებმა საკონსულოს შეაფარეს თავი. შანხაიში ჩრდილოეთელთა და სამხრეთელთა შორის შეტაკება ხდება. იაპონიის კონსულმა მებრძოლ მხარეთ გამოუცხადა: თუ ორი დღის განმავლობაში არ დასრულდება ბრძოლა, იაპონიის დესანტი, მებრძოლებს ქალაქის ცენტრალური ადგილებიდან გარეკსო. ეს ბრძოლა უცხოეთის მცხოვრებლებისთვის დამღუპველია.

**კოოპერატორთა სიეზდი.** 11 აგვისტოს ლონდონში კოოპერატორთა მეათე სიეზდი გაიხსნა. სიეზდს ექვსასი დელეგატი დაესწრო. ეს დელეგატები 130 ათასმა კოოპერატიულმა დაწესებულებამ გამოგზავნა. გერმანიიდან 100 დელეგატი მივიდა, ავსტრიიდან 50, საფრანგეთიდან, ბელგიიდან და შვეიცარიიდან 100, სიეზდში მონაწილეობას იღებენ აგრეთვე რუსეთის, იტალიისა და ამერიკის კოოპერატორთა წარმომადგენლებიც.

## ლეჩხუმი.

**დაბა ლაილაში და მისი ავ-კარგი**

კარგა ხანია განზრახული იყო, რომ ლაილაშში უფასო წიგნთ საცავ სამკითხველო გახსნილიყო ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების სახელით, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო, მხოლოდ წელს მიეცა ამ საქმეს სასურველი დაბოლავება. პირველ მაისს გაიხსნა ოფიციალურათ ხსენებული სამკითხველო. დაწესდა საწევრო გადასახადი წლიურათ 3 მან., შესდგა მზრუნველი კომიტეტი, საიდაც თავი მოიყარა ადგილობრივი ინტელიგენციის უმეტესმა ნაწილმა, და სამკითხველომაც იწყო „ვითომდა არსებობა". მაგრამ, როგორც საზოგადოთ სჩვევია ქართველ ინტელიგენციას, მან ვერც ამ საქმეში გამოიჩინა შესაფერი ფხა და უნარი, ვერ გამოიჩინა საქმისადმი მზრუნველობა და სიყვარული, და სამკითხველოც ახლა უკანასკნელ დღეშია.

იქნება უფულობას მიაწეროთ ეს გარემოება, მაგრამ ეს სიმართლე არ იქნება. ჯერ კიდევ სამი წლით ადრე, ვიდრე სამკითხველო გაიხსნებოდა, მის სასარგებლოთ ყოველ წლით იმართებოდა წარმოდგენა და წმინდა შემოსავალი ებარებოდა ერთ-ერთ სანდო პირს. როგორც გამიგონია, ფული ას მანეთამდი უნდა ყოფილიყო მოგროვილი და ნუთუ არ შეიძლებოდა, რომ რამდენიმე ცალი ჟურნალ-გაზეთი გამოწერილიყო ამ ფულით?.. ესეც არ იყოს, მზრუნველმა კომიტეტმა ის ვერ მოახერხა, რომ ჩამოევლო და წევრებისგან საწევრო გადასახადი მოებოჭა; წევრები თვითონ იხვეწებიან, მოდით და წაიღეთ ხვედრი ფულიო... ისევ მოსწავლე ახალგაზრდობას უნდა ვუმადლოდეთ, რომ, მიუხედავათ ათასი დაბრკოლებისა, ზოგი ადმინისტრაციისა და ზოგიც ადგილობრივ ბნელ ძალების მეოხებით, ენერგიას არ ზოგავს და ყოველ წლით მართავს წარმოდგენას ხსენებულ სამკითხველოს სასარგებლოთ.

იმედი ვიქონიოთ, რომ მზრუნველი კომიტეტი, როცა იქნება, გვაღირსებს ანგარიშის გამოქვეყნებას, გვაღირსებს აგრეთვე საერთო კრების მოწვევას, რომ შესაძლებელ იქნეს გამგეობის მცონარე და უსაქმო წევრების გადაყენება და მათ ნაცვლად ისეთების არჩევა, ვინც მართლა საქმით იქნებიან დაინტერესებულნი და მისდამი სიყვარულით გამსჭვალულნი, თვარა ახლანდელ გამგეობას თუ უყურეთ, მისი იმედით შორს ვერ წავალთ, რადგანაც მას არავითარი საქმის უნარი არა აქვს:—მეოთხე თვეა, სამკითხველო დაარსდა და ერთხელ შიგ არ შეუხედიათ, ერთი კრება არ მოუწვევიათ, რომ სამკითხველოს ბედ-იღბლის გაუმჯობესებაზე ეზრუნათ...

Conscius

რედაქტორ-გამომცემელი **გ ჭელიძე.**

## რკინის გზა

**ქუთაისიდან მიდის.**

**თფილისს:** სახალხო 5 ს. 10 წ. დ.; სახ 10 ს. 6 წ. დ.; ფოშტ. 11 ს. 55 წ. დ.; სახ. 11 ს. 27 წ. ღ.

**ბათომს:** სახ. 5 ს. 10 წ. დ.; სახ. 7 ს. 5 წ. სად.; სახ. 11 ს. 27 წ. ღ.; ფოშტ. 5 ს. 21 წ. დ.

**ფოთს:** საავგარაკო 4 ს. 22 წ. დ.; სახალ. 5 ს. 10 წ. დ.; ფოშტ. 5 ს. 21 წ. სად.; სახ. 7 ს. 56 წ. სად.

**შორაპანს:** საავგარ. 4 ს. 57 წ. დღ.

**ტყიბულს:** სახ. 7 ს. 50 წ. დილ.; … 45 წ. დღ.

**ქუთაისს მოდის.**

**თფილისიდან:** სახ. 7 ს. დილ.; სახ. 8 … სად.; ფოშტ. 6 ს. 56 … სახ. 1 ს. 26 წ. ღამ…

**ბათომიდგან:** ფოშტ. 1 ს. 20 წ. დღ.; … 14 წ. დ.; სახ. 1 ს. 26 წ. … 7 საათ. დილ.

**ფოთიდან:** საავგ. 10 ს. 3 წ. დილ.; … 20 წ. დ.; სახ. 1 ს. 2…

**შორაპნიდან:** საავგ. 9 ს. 31 წ. …

**ტყიბულიდან:** სახ. 5 ს. 11 წ. დღ. … საათ. 9 წ. დილ.


**ქ. ქუთაისში** (სობოროსთან

# ა. თაბაგარის მაღაზიაში

**20 ივლისიდან დანიშნულია**

# დიდი იაფი ვაჭრობა

**ველოსიპედების და სხვ.**



ამასთანავე მიღებულია დიდძალი საკერი, საქსოვი და საწერი მაშ… გრამაფონები და მათი მოწყობილობა.

**ფასები ძლიერ დაკლებულია**

ხრესილი

# სამკურნალო აბანო

მეირფასი მთის აერზე

**ძმ. ყორყოლაძეების**

ექიმი თვალით იხილეთ დარწმუნდებით.

შემოწმებულია და გამოირკვა, რომ ეს მადნეული წყალი კურნავს სხვადასხ… სენისაგან, როგორც არის: ქარები (რევმატიზმი) კუჭისა და თავის ტკივილ… ნერვების სისუსტე და სხვ. წყალი ცივი და თფილიც. აქვეა სუფთა ბინა … სასმელსაჭმელი, აბანო მუდმივ განაგრძობს მუშაობას. ხრესილის სადგურიდ… დაშორებულია ორმოცდაათი საჟენის მანძილზე.

**მიიღება ხელის მოწერა 1913 წლისთვის ყოველდღიურ გაზეთზე**

**წელიწადი მეორე**

**1913**

# იმერეთი

**გაზეთის ფასი:**

| | |
|---|---|
| ერთი წლით | 7 მანეთი, |
| ნახევარი წლით | 4 მანეთი. |
| ერთი თვით | 3 აბაზი. |
| და ცალკე ნუმრის | 1 შაური, |

სამგლოვიარო განცხადების თითო დაბეჭდვა—სამი მანეთი.

**განცხადების ფასი:** პირველ გვერდზე პეტიტის ანგარიშით პწკარი ღირს 3 შაურათ მეოთხეზე—ორ შაურათ, შიგნით გვერდზე მორიგებით. შრომის მაძებართა განცხადება—ნახევარ ფასათ.

გაზეთის დასაკვეთი ფასი და აგრეთვე სხვა ანგარიშებიც უსათუოთ ამ მისამართით უნდა გამოიგზავნოს: Кутаисъ редакція газеты „ИМЕРЕТИ"

სხვანაირათ გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

# ახალი გამოგონება მეცნიერებაში

ერთადერთი სახმარებელი ვენახის აქიმობისათვის და მცენარეთა დასაცავათ სოკოების ავათმყოფობისაგან და მწერთაგან

# ახალი სითხე ქაკმენის ᲥᲥ

უმთავრესი წარმომადგენელი მთელი რუსეთისათვის **კანტორა კლო ჟღუროლი ქუთაისში** საწყობი და ნარდი გაყიდვა **ი. გოკიელოვის შვილების სავაჭრო სახლში ქუთაისში.**

# ქ. ქუთაისში.

ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი

# საბუღალტრო კურსები

## გ. გ. გიკინეიშვილისა.

კურსებზე მსმენელები მიიღება ოთხი კლასის მოწმობით. (გიმნაზია, სამოქალაქო და სასულიერო სასწავლებელი). კურსი ათი თვისაა. სწავლის ფული ასი მან. თხოვნები მიიღება კურსების კანცელარიაში. (თფილისის ქუჩა, სახლი ბარქაიასი,)

# გ. მორდაძის და ს. წერეთლის

ერთადერთი წარმომადგენელი ქუთაისის გუბერნიაში, ბათომის და სოხუმის … უმაღლესი სასახლის გოფმეისტერის, იური სტეფანეს ძის ნეჩაევ-მალცევის ბემსკის … ბის ქარხნისა, მიაქციეთ განსაკუთრებული ყურადღება მინის ყუთზე ნიშანს „БЕМСК…

# რკინეულობის მაღაზიაში იყიდება:

საუკეთესო
ქარხნებისგან
**მიღებული რკინეული**
საქონელი: კარის, ფანჯრის
და ღუმელის მოწყობილობანი;
სადურგლო ხელსაწყობი, ფანჯრის
მინები, რკინის ნიჩბები, ლურსმანი, მავთული, ყოველგვარი საღებავი წამალი,
ელექტრონის ზარის მოწყობილებანი, შპალიერი,
ცემენტი, ემალიანი ჭურჭლები, ასფალტი და სხ.
**ვაჭრობა პარტიითა და წვრილათ ხელმისაწვდომ ფასათ.**
ქ. ქუთაისში, საკუთარ შენობაში, მიხეილის ქუჩაზე № 65.



ელექტრო-საბეჭდავი ფერაძისა და კარნაუხოვის ქუთაისში.